ხელშეკრულება 21.11.19/2
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ერთის მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო (შემდგომში-შემსყიდველი) **(ს/კ:418471031)** წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ **ი/მ ნაზო კურტანიძე** (შემდგომში-მიმწოდებელი) სახით **(ს/კ: 59001045599) გამარტივებული შესყიდვების საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მე-5 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულებას) შემდგომზე:**

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფი სამუსიკო და სახელოვნებო სკოლებისთვის ზამთრის სეზონთან დაკავშირებით ღუმელის მილების , მუხლების და ღუმელის ძირების შესყიდვა

1.2. შესყიდვის საფუძველი: მოხსენებითი ბარათი #1015

2.ხელშეკრულების ღირებულება

21 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 184,5 (ასოთხმოცდაოთხი ლარი და 50 თეთრი) **ლარს.**

2.2 ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3 დაფინანსების წყარო: 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები

4..1.მომსახურების მიწოდება განხორციელდება არაუგვიანეს **2019 წლის 28 ნოემბერიsa**

4.2.მომსახურების გაწევის ადგილია: **ქ. გორი, ძმები რომელაშვილების ქ. 181ა**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი არის სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური დარგის მთავარი სპეციალისტი გიორგი ქარელი.

6.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარებიდა და შესაბამისი ანგარიშფაქტურისა ან სასაქონლო ზედნადების აქტის საფუძველზე.

6.4 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან და შესაბამისი საგადახდო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში

7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1.შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2.შემსყიდველს უფლება აქვს: განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე

7.3.შემსყიდველი ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

7.4.მიმწოდებელს უფლება აქვს :მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.5.მიმწოდებელი ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების **0,02 %** ის ოდენობით.

9.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 28 ნოემბრიდან და მოქმედებს 2019 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით.

10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

11 ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
13.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 2019 წლის 1 იანვრიდან, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველები/პრეტენდენტები/მიმწოდებლები „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე ვალდებულები არიან, სახელმწიფო შესყიდვებში ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთ ელექტრონულ დოკუმენტებზე შეასრულონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ეს დოკუმენტები დაამოწმონ კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

_____

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის

კულტურისა და ტურიზმის განვითარების

ხელშეწყობის სააგენტო

მის: გორი, სტალინის 16

საიდენტიფიკაციო კოდი: 418471031

მომსახურება ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

მომსახურე ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიში/სახაზინო კოდი: 35041000

მიმწოდებელი

_____

ი/მ ნაზო კურტანიძე

მის: გორი, რომელაშვილების ქ. 181ა

საიდენტიფიკაციო კოდი: 59001045599

მომსახურე ბანკი: სს „ ბანკი ქართუ”

მომსახურე ბანკის კოდი: CRTUGE22

ანგარიში/სახაზინო კოდი: GE18CR0110008000803602

დირექტორი გელა კაპანაძე

Gela Kapanadze

Digitally signed by Gela Kapanadze
Date: 2019.11.25 14:26:03 +04'00'

ი/მ ნაზო კურტანიძე

Nazo Kurtanidze

Digitally signed by Nazo Kurtanidze
Date: 2019.11.25 14:25:16 +04'00'

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის ხელშეწყობის განვითარების სააგენტო

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 25/11/2019/2წ
მიმწოდებელი: ი/მ ნაზო კურტანიძე (ს/კ: 59001045599)

ხელშეკრულება: N-25/11/2

იტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების" **მე-8 მუხლის ,,ინტერესთან კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები"შესაბამისად** ვადასტურებთ, რომ **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ:418471031)** თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

სააგენტოს დირექტორი **გელა კაპანაძე**

Gela Kapanadze
Digitally signed by Gela Kapanadze
Date: 2019.11.25 14:26:27 +04'00'

შესყიდვის მენეჯერი: **სოფიკო ჭილაშვილი**

Sopiko Tchilashvili
Digitally signed by Sopiko Tchilashvili
Date: 2019.11.25 14:27:06 +04'00'